ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3187807

ნომერი: AR1480031

თარიღი : 20.02.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 13.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხახულის ქუჩა N3 / ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ ქალაქი თბილისი , ხახულის ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა გაბინაშვილი პ/ნ 01019017563
- თბილისი ბჟოლეთის ქ. N 8ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №1926890 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 თებერვალს AR1480031 განცხადებით მომართა მოქალაქე შოთა გაბინაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №1926890 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, ახალი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირების მიზნით. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 8

ივნისის №1926890 ბრძანებით, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.011.408; ფართობი:1912 კვ.მ.) ოფისი და დამხმარე ნაგებობის (საწყობი) განთავსების მიზნით, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ის შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის # 2544858 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882016195961, საკადასტრო კოდით: №01.72.14.011.433, ფართობი – 1944 კვ.მ.); ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით მთლიან ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია 2015 წლის 8 ივნისის №1926890 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №1926890 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.72.14.011.461 ფართობი 2944კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017111054, რეგისტრაციის თარიღი 16/02/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017111054, რეგისტრაციის თარიღი 16/02/2017 წ.);
2. ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით;
3. შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხილეთ დანართი).
4. დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი N12 (23.03.2017წ.) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #1-839 (11.04.2017) ბრძანება;
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №1926890 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.